ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 195

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ. 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ. 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 26.04.2023.წ №23.552.644 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.059.100) პირდაპირი განკარგვის წესით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ. 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე